TBILISI MEDICAL ACADEMY
MEDICINE STARTS HERE

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს მიერ 2023 წლის N18 ოქმით

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის
პროგრამა „სამეცნიერო სტაჟირება“

TBILISI MEDICAL ACADEMY
MEDICINE STARTS HERE

დოკუმენტის თავდაპირველი რედაქცია:

N	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	ოქმის/ბრძანების ნომერი	თარიღი
	რექტორის საბჭო	ოქმი N18	24.02.2023

განხორციელებული ცვლილებები

N	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	ოქმის/ბრძანების ნომერი	თარიღი	მუხლი	შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის (შემდგომში - თსა) პროგრამის „სამეცნიერო სტაჟირება“ მიზანია ბიომედიცინის, ბიოტექნოლოგიის, მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებების, სამედიცინო განათლების და მათი მომიჯნავე სამეცნიერო მიმართულებებით სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის ხელშეწყობა ღია კონკურსის წესით დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე აპლიკანტების შერჩევის და მათ მიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების დაფინანსების გზით.

1.2 წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს:

- თსა-ს პროგრამაში „სამეცნიერო სტაჟირება“ მონაწილეობისათვის საპროექტო განაცხადის წარდგენის, განხილვის და შეფასების წესს;
- თსა-ს პროგრამაში „სამეცნიერო სტაჟირება“ შერჩეული აპლიკანტების მიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების თსა-ს ბაზაზე და თსა-სთან აფილირებით განხორციელების და მონიტორინგის წესს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

2.1 **ანგარიში (შუალედური/საბოლოო)** - ინფორმაცია პროექტით განსაზღვრული აქტივობების შესრულების შესახებ.

2.2 **აპლიკანტი** - საპროექტო განაცხადის წარმდგენი საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირი, რომელსაც ბიომედიცინის, ბიოტექნოლოგიის, მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებების, სამედიცინო განათლების და მათი მომიჯნავე სამეცნიერო მიმართულებებით დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი მიენიჭა წინამდებარე პროგრამაში მონაწილეობამდე 3 წლის განმავლობაში და არ არის თსა-ს პერსონალი (აკადემიური და/ან მოწვეული).

2.3 **ბიოეთიკის საერთაშორისო კომიტეტი** - თსა-ს რექტორის მიერ შექმნილი კოლეგიური ორგანო, რომელიც მონაწილეობს საპროექტო განაცხადების განხილვაში.

2.4 **ბიუჯეტი** - პროექტის განხორციელებისათვის მოთხოვნილი დაფინანსების საერთო ოდენობა ხარჯვის კატეგორიების მიხედვით.

2.5 **დამფინანსებელი** - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია.

2.6 **დამხმარე პერსონალი** - პროექტის ფარგლებში დასაქმებული პირი, რომელიც მონაწილეობს პროექტის განხორციელების ტექნიკური საკითხების გადაჭრაში. დამხმარე პერსონალი არის თსა-ს პერსონალი და/ან სტუდენტი.

2.7 **დაფინანსებული** - შერჩეული აპლიკანტი.

2.8 **ექსპერტი** - კონკრეტული სამეცნიერო მიმართულებით კვალიფიკაციის მქონე საქართველოს და/ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირი; კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს ექსპერტის სამეცნიერო პუბლიკაციებითა და/ან ბიოგრაფიული მონაცემებით.

2.9 **კომისია** - თსა-ს რექტორის მიერ შექმნილი კოლეგიური ორგანო, რომელიც დაკომპლექტებულია ექსპერტებით და განახორციელებს საპროექტო განაცხადების განხილვას და შეფასებას. კომისიის წევრთა მინიმალური რაოდენობა განისაზღვრება 3-ით.

2.10 **მენტორი** - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ფიზიკური პირი, რომელიც ამავდროულად არის თსა-ს პერსონალი (აკადემიური და/ან მოწვეული) და აქვს სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით გამოცდილება, რომელიც დასტურდება საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციებით.

2.11 **მონიტორინგი** - დაფინანსებულის მიერ პროექტის, მისი განხორციელებისა და პროექტით განსაზღვრული აქტივობების შესრულების მონიტორინგი, ანგარიშების განხილვა.

2.12 **პროექტი** - დასაფინანსებლად შერჩეული აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი, რომელიც დეტალურად აღწერს კვლევის მიზნებსა და ამოცანებს, მათი განხორციელების გზებსა და მოსალოდნელ შედეგებს, და თანდართულია განსახორციელებელი აქტივობების გეგმა-გრაფიკით.

2.13 **სამეცნიერო საგრანტო კომიტეტი** - თსა-ს რექტორის მიერ შექმნილი კოლეგიური ორგანო, რომელიც მონაწილეობს პროექტის მონაწილე სტუდენტების შერჩევის პროცესში და განახორციელებს პროექტების განხორციელების მონიტორინგს.

2.14 **საპროექტო განაცხადი** - აპლიკანტის მიერ წარდგენილი პროექტი, რომელიც გაფორმებულია წინამდებარე წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

2.15 **სტუდენტი** - თსა-ს სტუდენტის აქტიური სტატუსის მქონე ფიზიკური პირი.

2.16 **ხელშეკრულება** - თსა-სა და დაფინანსებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

2.17 **შეფასების კრიტერიუმები** - საპროექტო განაცხადის შესაფასებლად წინამდებარე წესით განსაზღვრული სახელმძღვანელო პრინციპები ქულების მითითებით.

მუხლი 3. პროგრამის „სამეცნიერო სტაჟირება“ ადმინისტრირება

3.1 პროგრამა „სამეცნიერო სტაჟირება“ ფინანსდება თსა-ს ბიუჯეტიდან.

3.2 პროგრამის „სამეცნიერო სტაჟირება“ ადმინისტრირებას ახორციელებს თსა-ს სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტი.

3.3 თსა-ს სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტი უზრუნველყოფს:

3.3.1 პროგრამის გამოცხადებას.

3.3.2 პროგრამის ჩატარების წესისა და საპროექტო განაცხადების ფორმის შემუშავებას, საპროექტო განაცხადების მიღების პირობების და ვადების დადგენას, მათ საჯაროდ გამოცხადებას, ასევე პროექტის შესრულების ანგარიშების ფორმის შემუშავებას.

3.3.3 პროგრამის ფარგლებში ვადის დაცვით წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების წინამდებარე წესით განსაზღვრულ ფორმასთან შესაბამისობის დადგენას 3 სამუშაო დღის ვადაში შესაბამისი ოქმის გაფორმებით; საპროექტო განაცხადში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში აპლიკანტს 3 სამუშაო დღის ვადაში შეუძლია მისი გამოსწორება.

3.3.4 საპროექტო განაცხადების სპეციფიკის გათვალისწინებით ექსპერტთა შერჩევას და რექტორის საბჭოსთვის კანდიდატების წარდგენას კომისიის ჩამოყალიბებისთვის.

3.3.5 საპროექტო განაცხადების ბიოეთიკის საერთაშორისო კომიტეტისა და კომისიისთვის განსახილველად და შესაფასებლად გადაცემას.

3.3.6 ბიოეთიკის საერთაშორისო კომიტეტისა და კომისიის მიერ საპროექტო განაცხადების განხილვის შედეგების თსა-ს რექტორის საბჭოსთვის წარდგენას დასამტკიცებლად.

3.3.7 პროგრამის ადმინისტრირების შედეგების გამოქვეყნებას.

3.3.8 პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ პროექტებში მონაწილეობისათვის სტუდენტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადებას, ასევე დაფინანსებულთან, მის მენტორთან და სამეცნიერო საგრანტო კომიტეტთან სტუდენტური განაცხადების მიღების პირობების დადგენას და საჯაროდ გამოცხადებას.

3.3.9 პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ პროექტში მონაწილეობისათვის სტუდენტების განაცხადების წინამდებარე წესით განსაზღვრულ ფორმასთან შესაბამისობის დადგენას 3 სამუშაო დღის ვადაში შესაბამისი ოქმის გაფორმებით; სტუდენტის განაცხადში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში სტუდენტს 3 სამუშაო დღის ვადაში შეუძლია მისი გამოსწორება.

3.3.10 სტუდენტების განაცხადების შესაბამისი პროექტის უფლებამოსილი წარმომადგენელისთვის და სამეცნიერო საგრანტო კომიტეტის წევრებისათვის განსახილველად და შესაფასებლად გადაცემას.

3.4 წინამდებარე პროგრამის ფარგლებში თსა-ს ბიოეთიკის საერთაშორისო კომიტეტის ფუნქციას, წარმოადგენს საპროექტო განაცხადების განხილვა და მათ ბიოეთიკურ ასპექტებზე დასკვნის მომზადება მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

3.5 თსა-ს ბიოეთიკის საერთაშორისო კომიტეტის დასკვნა და ასევე რეკომენდაცია და/ან სხვა ნებისმიერი გადაწყვეტილება წინამდებარე პროგრამის ფარგლებში, ფორმდება ოქმის სახით.

3.6 კომისიის ფუნქციას, წინამდებარე პროგრამის ფარგლებში, წარმოადგენს:

3.6.1 საპროექტო განაცხადების განხილვა და შეფასება წინამდებარე წესით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.

3.6.2 დასაფინანსებლად რეკომენდებული საპროექტო განაცხადების გამოვლენა და თსა-ს სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტისთვის წარდგენა მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

3.7 კომისიის დასკვნა და ასევე რეკომენდაცია და/ან სხვა ნებისმიერი გადაწყვეტილება წინამდებარე პროგრამის ფარგლებში ფორმდება ოქმის სახით.

3.8 თსა-ს სამეცნიერო საგრანტო კომიტეტის ფუნქციას წინამდებარე პროგრამის ფარგლებში წარმოადგენს:

3.8.1 პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ პროექტებში მონაწილეობისათვის სტუდენტების (მინიმუმ - 2, მაქსიმუმ - 4 სტუდენტი) კონკურსის წესით შერჩევა პროექტის უფლებამოსილი პირის მიერ განსაზღვრული სპეციფიკის გათვალისწინებით ჩამოყალიბებული მოთხოვნებისა და წინამდებარე წესის მე-5 მუხლით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.

3.8.2 დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი წინამდებარე წესით განსაზღვრული მონიტორინგის პროცედურის შესაბამისად.

3.9 თსა-ს სამეცნიერო საგრანტო კომიტეტის გადაწყვეტილებები, წინამდებარე პროგრამის ფარგლებში, ფორმდება ოქმის სახით.

მუხლი 4. პროგრამის „სამეცნიერო სტაჟირება“ აპლიკანტის შერჩევა, შეფასების კრიტერიუმები და ერთიანი სარეიტინგო ქულის დაანგარიშება

4.1 თსა-ს პროგრამაზე „სამეცნიერო სტაჟირება“ მიღების პროცედურა წარმოადგენს ღია კონკურსს, რომელშიც მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკურ პირს, რომელსაც ბიომედიცინის, ბიოტექნოლოგიის, მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებების, სამედიცინო განათლების და მათი მომიჯნავე სამეცნიერო მიმართულებებით დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი მიენიჭა წინამდებარე პროგრამაში მონაწილეობამდე 3 წლის განმავლობაში და არ არის თსა-ს პერსონალი (აკადემიური და/ან მოწვეული).

4.2 ღია კონკურსი ითვალისწინებს ორ ეტაპს:
- პროგრამით განსაზღვრული ფორმით წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევის კონცეფციის და თანდართული დოკუმენტების შეფასებას კომისიის მიერ;
- აპლიკანტის გასაუბრებას კომისიასთან.

4.3 პირველ ეტაპზე აპლიკანტის მიერ ელექტრონული ფოსტის მისამართზე research@tma.edu.ge გადმოგზავნით ინგლისურად წარმოდგენილი უნდა იყოს:
- სამეცნიერო კვლევის კონცეფცია - აქტუალობა, ინოვაციურობა და მნიშვნელობა (დანართი 1).
- აპლიკანტის პროფესიული ბიოგრაფია, რომელიც წარმოადგენს მის სამეცნიერო კომპეტენციას და უნარებს, სამეცნიერო მიღწევებს - დაფინანსებულ და განხორციელებულ პროექტებს, სამეცნიერო პუბლიკაციებს, და სამეცნიერო კომპეტენციის თვალსაზრისით მნიშვნელოვან სხვა დამატებით ინფორმაციას.
- სარეკომენდაციო წერილები (მინიმუმ 1), რომლითაც დასტურდება აპლიკანტის პროფესიულ ბიოგრაფიაში მითითებული ინფორმაცია.

4.4 პირველ ეტაპზე აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია კომისიის წევრების მიერ ინდივიდუალურად შეფასდება ქვემოთ წარმოდგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

კრიტერიუმები	C	B	A	**შეფასება (A/B/C) კრიტერიუმების მიხედვით**
	1	2	3	**მაქსიმუმ 9 ქულა**
1. სამეცნიერო კვლევის კონცეფცია - აქტუალობა, ინოვაციურობა და მნიშვნელობა				
2. აპლიკანტის სამეცნიერო პროდუქტიულობა				

3. აპლიკანტის სამეცნიერო მიღწევები				
თითოეული კრიტერიუმის შეფასების სქემა: **A** – 3 (აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ზემიწევნით შეესაბამება კრიტერიუმს) **B** – 2 (აპლიკანტის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში აღინიშნება უმნიშვნელო ხარვეზები და უზუსტობები) **C** – 1 (აპლიკანტის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში აღინიშნება მნიშვნელოვანი ხარვეზები და უზუსტობები) **საპროექტო განაცხადის ჯამური მაქსიმალური ქულა არის 9.**				
შემაჯამებელი კომენტარი საპროექტო განაცხადის შესახებ:				

4.5 პირველ ეტაპზე აპლიკანტის შეფასება წარმოადგენს კომისიის წევრთა ინდივიდუალური შეფასებების საშუალო არითმეტიკულს. მეორე ეტაპზე დაიშვება აპლიკანტი, რომლის შეფასება პირველ ეტაპზე შეადგენს მინიმუმ 6 ქულას და არც ერთ კრიტერიუმში არ აქვს მიღებული C (1 ქულა) შეფასება.

4.6 გასაუბრება - აპლიკანტის შერჩევის მეორე, საბოლოო ეტაპზე აპლიკანტს უტარდება გასაუბრება კომისიის მიერ, რომლის დროსაც აპლიკანტი პრეზენტაციის სახით წარუდგენს კომისიას კვლევის კონცეფციას (აქტუალობა და ინოვაციურობა, კვლევის მეთოდოლოგია, მოსალოდნელი შედეგები და მათი მნიშვნელობა, პროექტის განვითარების შემდგომი პერსპექტივები, მათი პრაქტიკული მნიშვნელობა და ა.შ.) 30 წთ-იანი პრეზენტაციას სახით და პასუხობს დასმულ კითხვებს.

4.7 მეორე ეტაპზე აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია კომისიის წევრების მიერ ინდივიდუალურად შეფასდება ქვემოთ წარმოდგენილი კრიტერიუმების შესბამისად:

კრიტერიუმები	C	B	A	**შეფასება (A/B/C) კრიტერიუმების მიხედვით**
	1	2	3	**მაქსიმუმ 15 ქულა**
1. სამეცნიერო კვლევის კონცეფცია - აქტუალობა, ინოვაციურობა და მნიშვნელობა				
2. აპლიკანტის კვლევის მეთოდოლოგია				

3. აპლიკანტის კვლევის მოსალოდნელი შედეგები და მათი პრაქტიკული მნიშვნელობა				
4. კვლევითი სტაჟირება როგორც აპლიკანტის კარიერული განვითარების შესაძლებლობა				
5. კვლევის განვითარების და ტექნოლოგიური ტრანსფერის შესაძლებლობები				
თითოეული კრიტერიუმის შეფასების სქემა: **A** – 3 (აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ზემიწევნით შეესაბამება კრიტერიუმს) **B** – 2 (აპლიკანტის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში აღინიშნება უმნიშვნელო ხარვეზები და უზუსტობები) **C** – 1 (აპლიკანტის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში აღინიშნება მნიშვნელოვანი ხარვეზები და უზუსტობები) **საპროექტო განაცხადის ჯამური მაქსიმალური ქულა არის 15.**				
შემაჯამებელი კომენტარი საპროექტო განაცხადის შესახებ:				

4.8 მეორე ეტაპზე აპლიკანტის შეფასება წარმოადგენს კომისიის წევრთა ინდივიდუალური შეფასებების საშუალო არითმეტიკულს. აპლიკანტ(ებ)ი, რომელთა შეფასება მეორე ეტაპზე შეადგენს 10 ან მეტ ქულას და არც ერთ კრიტერიუმში არ აქვს მიღებული C (1 ქულა), განიხილება დასაფინანსებლად.

4.9 დასაფინანსებლად განიხილება აპლიკანტ(ებ)ი, რომელთა ჯამური შეფასება პირველი და მეორე ეტაპის შედეგად შეადგენს 16 ან მეტ ქულას და ორივე ეტაპზე არც ერთ კრიტერიუმში არ აქვს მიღებული C (1 ქულა) შეფასება.

4.10 პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 12 თვე.

4.11 დასაფინანსებლად შერჩეულ აპლიკანტს უნდა ჰყავდეს მენტორი და/ან მენტორთა ჯგუფი ინტერდისციპლინური პროექტის შემთხვევაში, რომელსაც აქვს არის დაგეგმილი კვლევის შესაბამისი სამეცნიერო მიმართულებ(ებ)ით კომპეტენციის მქონე თსა-ს პერსონალი (აკადემიური და/ან მოწვეული).

4.12 პროექტში სავალდებულოა მინიმუმ ორი და მაქსიმუმ ოთხი სტუდენტის ჩართულობა. პროექტში მონაწილეობისათვის სტუდენტთა შერჩევა წარმოებს კონკურსის წესით წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად (მუხლი 5).

4.13 პროექტში დამხმარე პერსონალის სტატუსით შესაძლებელია მაქსიმუმ 1 პირის ჩართვა.

4.14 პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები საკუთრებაში რჩება თსა-ს.

4.15 პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელია თსა-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენება.

4.16 პროექტის განხორციელებისათვის დამატებით შესაძლებელია თსა-ს პარტნიორი ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენება.

4.17 დასაფინანსებლად შერჩეულმა აპლიკანტ(ებ)მა მენტორთან შეთანხმებით ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის თსა-ს მოთხოვნილი ფორმით უნდა წარმოადგინოს პროექტის ბიუჯეტი, რომელიც შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს:

4.17.1 პროექტში მონაწილე სტუდენტების შრომით ანაზღაურებას - სტუდენტის შრომითი ანაზღაურება თვეში მაქსიმუმ 100.00 (ასი) ლარის ოდენობით.

4.17.2 დამხმარე პერსონალის შრომით ანაზღაურებას - თვეში მაქსიმუმ 150.00 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

4.17.3 ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო საშუალებების (აპარატურის, რეაქტივების, სახარჯი მასალების და ა.შ.) შეძენის და მომსახურების ხარჯებს;

4.17.4 კვლევის შედეგების პუბლიკაციის ხარჯებს.

ხარჯვითი კატეგორია	ერთეულის ღირებულება, ლარი	ჯამური ღირებულება, ლარი
სტუდენტების შრომითი ანაზღაურება		
დამხმარე პერსონალის შრომითი ანაზღაურება		
ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო საშუალებები (რეაქტივები, სახარჯი მასალები და ა.შ.)		
კვლევის შედეგების პუბლიკაცია		

4.18 კომისიის გადაწყვეტილებისა და თსა-ს სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტის წარდგინების საფუძველზე რექტორის საბჭოს მიერ დასაფინანსებლად შერჩეული აპლიკანტ(ებ)ის სიის დამტკიცების შემდეგ დაფინანსებულ პირ(ებ)სა, მათ მენტორებსა და თსა-ს შორის ფორმდება ხელშეკრულება.

4.19 სავალდებულოა სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შედეგების სამეცნიერო სტატიის სახით გამოქვეყნება Google Scholar, Scopus, Web of Science, ERIH PLUS ბაზებში ინდექსირებულ საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალში.

4.20 სამეცნიერო სტატიაში სავალდებულოა მითითება: „კვლევა [პროექტის სათაური] მხარდაჭერილია პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის პროგრამის „სამეცნიერო სტაჟირება“ ფარგლებში / The article [Title] was supported in the frames of Petre Shotadze Tbilisi Medical Academy program “Research fellowship”.

4.21 პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების განხორციელების მონიტორინგს ახორციელებს სამეცნიერო საგრანტო კომიტეტი.

4.22 მონიტორინგის პროცედურა გულისხმობს საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში დაფინანსებული პირის მიერ შუალედური/საბოლოო ანგარიშის წარდგენას წინამდებარე წესით განსაზღვრული ფორმით (დანართი 2).

4.23 საანგარიშო პერიოდი განისაზღვრება 3 თვიანი ვადით.

4.24 დაფინანსებული პირ(ებ)ისთვის სავალდებულოა თსა-ს პედაგოგიური პერსონალისთვის და სტუდენტებისათვის საჯარო-პოპულარული ლექციის ჩატარება მისი სამეცნიერო კვლევის შედეგებისა და დაგეგმილი აქტივობების პრეზენტაციის მიზნით.

4.25 დაფინანსებული პირ(ებ)ისთვის სავალდებულოა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის განმავლობაში თსა-სთან აფილირებით სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების განხორციელება.

4.26 დაფინანსებული პირ(ებ)ისთვის სავალდებულოა სამეცნიერო სტაჟირების ფარგლებში მიღებული შედეგების პუბლიკაცია თსა-სთან აფილირებით; მათ შორის იმ შემთხვევებშიც თუკი ხსენებული შედეგების გამოქვეყნება მოხდება სამეცნიერო სტაჟირების ხელშეკრულებით განსაზღვრული მოქმედების ვადის შემდეგ.

4.27 თსა უფლებამოსილია ნებისმიერ ეტაპზე გადაამოწმოს დაფინანსებული პირ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

4.28 დაფინანსებული პირე(ებ)ის მიერ ყალბი ინფორმაციის მიწოდების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში თსა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის შეწყვეტისა და აღნიშნული დაფინანსებული პირის მენტორის თსა-ს სამეცნიერო-კვლევით აქტივობებსა და პროგრამებში, მათ შორის საგრანტო პროგრამაში, შემდგომი მონაწილეობის შეზღუდვის შესახებ.

მუხლი 5. სტუდენთა შერჩევა პროექტში მონაწილეობისათვის

5.1 პროექტში მონაწილეობისათვის სტუდენტთა შერჩევა წარმოებს ღია კონკურსის წესით.

5.2 კონკურსში მონაწილეობა შეუძლია თსა-ს აქტიური სტატუსის მქონე ნებისმიერ სტუდენტს, რომლის GPA აღემატება 2-ს.

5.3 კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტმა ელექტრონულად, ელექტრონული ფოსტის მისამართზე research@tma.edu.ge გადმოგზავნით უნდა წარმოადგინოს ინგლისურად:

ა) სამოტივაციო წერილი (დანართი 3).

ბ) CV.

5.4 კონკურსში მონაწილე სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასებას ახორციელებს შესაბამისი პროექტის უფლებამოსილი წარმომადგენელი და სამეცნიერო საგრანტო კომიტეტი.

5.5 სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განაცხადის შეფასების კრიტერიუმებია:

კრიტერიუმები	C	B	A	**შეფასება (A/B/C) კრიტერიუმის მიხედვით**
	1	2	3	**მაქსიმუმ 12 ქულა**

1. სამოტივაციო წერილის შინაარსობრივი ღირებულება				
2. სტუდენტის პოზიციის მკაფიო ფორმულირება				
3. გრამატიკული და ენობრივი გამართულობა				
4. ტექსტის მოცულობის მიმართ არსებული მოთხოვნის დაცვის უნარი				
თითოეული კრიტერიუმის შეფასების სქემა: **A** – 3 (აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ზემიწევნით შეესაბამება კრიტერიუმს) **B** – 2 (აპლიკანტის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში აღინიშნება უმნიშვნელო ხარვეზები და უზუსტობები) **C** – 1 (აპლიკანტის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში აღინიშნება მნიშვნელოვანი ხარვეზები და უზუსტობები) **ჯამური მაქსიმალური ქულა არის 12.**				
შემაჯამებელი კომენტარი:				

5.6 პროექტში ჩასართავად განიხილება 8 და მეტი ქულის შეფასების მქონე სტუდენტის განაცხადი, და არც ერთ კრიტერიუმში არ აქვს მიღებული C (1 ქულა) შეფასება.

5.7 სტუდენტის განაცხადის შეფასება ხორციელდება შეფასების პროცესში მონაწილე პირების მიერ ინდივიდუალურად. სტუდენტის განაცხადის საბოლოო ქულა წარმოადგენს ინდივიდუალური შეფასებების საშუალო არითმეტიკულს.

მუხლი 6. მენტორი

6.1 მენტორი უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს დასაფინანსებლად შერჩეული პირის კვლევის თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო მიმართულებით კვლევის გამოცდილება და არის თსა-ს აკადემიური პერსონალი.

6.2 მენტორი დასაფინანსებლად შერჩეული პირის სამეცნიერო ხელმძღვანელობაზე თანხმობას ადასტურებს დაფინანსებულ პირს, მენტორ(ებ)სა და თსა-ს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით. მენტორი ჩართულია დასაფინანსებლად შერჩეული პირის კვლევაში და კარიერული განვითარების პროცესში.

6.3 საჭიროების შემთხვევაში დასაფინანსებლად შერჩეულ პირს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი მენტორი. დასაშვებია კონსულტანტი-მენტორის მოწვევა სხვა, მათ შორის უცხო ქვეყნის, სასწავლო-კვლევითი დაწესებულებიდან.

6.4 დასაფინანსებლად შერჩეული პირის მენტორობაზე უარის შემთხვევაში მენტორმა შესაბამისი განცხადება უნდა წარუდგინოს სამეცნიერო-კვლევით და დოქტორანტურის დეპარტამენტს; აღნიშნული განცხადება განიხილება სამეცნიერო საგრანტო კომიტეტის მიერ.

6.5 მენტორის შეცვლის სურვილის შემთხვევაში დასაფინანსებლად შერჩეულმა პირმა წერილობითი, დასაბუთებული და დოკუმენტირებული მოთხოვნით უნდა მიმართოს სამეცნიერო-კვლევით და დოქტორანტურის დეპარტამენტს.

6.6 მენტორი:

6.6.1 მონაწილეობს პროექტის განხორციელების გეგმის შემუშავებაში;

6.6.2 რეგულარულად ხვდება დაფინანსებულს, უწევს კონსულტაციებს და პრაქტიკულად ეხმარება კვლევის ორგანიზებასა და განხორციელებაში;

6.6.3 დაფინანსებულთან ერთად ადგენს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ინდივიდუალურ გეგმას და მონაწილეობს მისი განხორციელების მონიტორინგში;

6.6.4 მონაწილეობს მიღებული შედეგების გამოსაქვეყნებლად შესაბამისი სამეცნიერო ჟურნალის შერჩევის პროცესში;

6.6.5 მონაწილეობს სამეცნიერო სტატი(ებ)ის მომზადების პროცესში;

6.6.6 დაფინანსებულთან ერთად ამზადებს სამეცნიერო-კვლევით პროექტებს ეროვნულ და საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისათვის.

მუხლი 7. პროექტის გაგრძელება, შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

7.1 პროექტის გაგრძელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ დაფინანსებულმა ზედმიწევნით შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და მის მიერ წარმოდგენილი კვლევის გაგრძელების გეგმა დადებითად შეფასდა კომისიის მიერ. აღნიშნულ შემთხვევაში დასაშვებია პროექტის ერთჯერადი გაგრძელება 12 თვის ვადით.

7.2 ზემოაღნიშნულთან ერთად პროექტის გაგრძელების დამატებით კრიტერიუმს წარმოადგენს დაფინანსებულის მიერ თსა-სთან აფილირებით ეროვნულ და/ან საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში მიღებული დაფინანსება. ამ შემთხვევაში დასაშვებია პროექტის გაგრძელება ეროვნულ და/ან საერთაშორისო საგრანტო კონკურსში დაფინანსებული პროექტის საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით.

7.3 პროექტის შეწყვეტა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ დაფინანსებული არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან არღვევს პროექტის განხორციელების პირობებს. ასევე დაფინანსება შესაძლებელია შეწყდეს დაფინანსებულის არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე. აღნიშნული შემთხვევა განიხილება სამეცნიერო საგრანტო კომიტეტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.4 სამეცნიერო საგრანტო კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს მენტორის ცვლილება სამეცნიერო-კვლევით და დოქტორანტურის დეპარტამენტში წარმოდგენილი მენტორის განცხადების საფუძველზე. მენტორის ცვლილება შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირით შესაძლებელია მენტორის განცხადების საფუძველზე და/ან მისი მიზეზით პროექტის ან მისი კონკრეტული ამოცან(ებ)ისა და აქტივობ(ებ)ის განუხორციელებლობის შემთხვევაში.

7.5 პროექტი ჩაითვლება დასრულებულად გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული ამოცანებისა და აქტივობების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და გათვალისწინებული პირობების შესრულებისა და დაფინანსებულის მიერ საბოლოო ანგარიშის წარდგენის შემდგომ.

მუხლი 8. ინტერესთა კონფლიქტი

პროგრამის „სამეცნიერო სტაჟირება“ ფარგლებში წარმოდგენილი აპლიკაციის შეფასებისა და პროექტების მონიტორინგის პროცედურებისათვის მოქმედებს ინტერესთა კონფლიქტის ზოგადი პრინციპები.

მუხლი 9. შედეგების გასაჩივრების პროცედურები

9.1 აპლიკანტი უფლებამოსილია გაასაჩივროს რექტორის საბჭოსთან აპლიკაციის შეფასების შედეგები.

9.2 დაფინანსებული უფლებამოსილია გაასაჩივროს რექტორის საბჭოსთან პროექტის განხორციელებისას თსა-ს სამეცნიერო საგრანტო კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება პროექტის შეჩერების/შეწყვეტის შესახებ.

9.3 აპლიკანტის/დაფინანსებულის საჩივრის წარდგენა უნდა მოხდეს ოფიციალურად, წერილობითი ფორმით.

9.4 რექტორის საბჭო უფლებამოსილია განიხილოს საჩივართან მიმართებით შესაბამისი თანამდებობის პირების, სტრუქტურული ერთეულების, სამეცნიერო საგრანტო და ბიოეთიკის საერთაშორისო კომიტეტების, დაფინანსებულის/აპლიკანტის, მენტორის, სტუდენტ(ებ)ის, ან/და სხვა მოწვეული პირების მოსაზრებები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

9.5 რექტორის საბჭოს გადაწყვეტილება გამოქვეყნდება ბრძანების ფორმით, რომელიც შესაძლებელია გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

10.1 წინამდებარე წესი ძალაში შედის თსა-ს რექტორის საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

10.2 წინამდებარე წესში ცვლილებების შეტანა მათი მიღების გზით ხორციელდება.

10.3 წინამდებარე წესი ჩაითვლება ძალადაკარგულად ახალი წესის დამტკიცებისთანავე.

დანართი 1

Research Concept - Title

1) **Actuality and innovation of the research concept**

recommended number of words – 600

2) **Scientific hypothesis**

recommended number of words – 50

3) **Importance and practical value of proposed research**

recommended number of words – 600

დანართი 2

Project realization – Interim report

TBILISI MEDICAL ACADEMY
MEDICINE STARTS HERE

Title:

Research fellow:

Mentor:

Research fellowship duration (in months):

Goals and objectives of the research fellowship:

Activities and obtained results specific to the reporting period:
Recommended length – 200 words

Project realization – Final report

TBILISI MEDICAL ACADEMY
MEDICINE STARTS HERE

Title:

Research fellow:

Mentor:

Research fellowship duration (in months):

Goals and objectives of the research fellowship:

Performed activities and obtained results:
Recommended length – 200 words

Scientific/practical importance of research fellowship (SWOT analysis):
Recommended length – 400 words

Self-evaluation – how important was the project for carrier development of a research fellow
Recommended length – 200 words

The perspectives of project development
Recommended length – 200 words

დანართი 3

Student's motivation letter

1) **Personal information – please present yourself**

2) **Please identify the project of your interest**

3) **Please explain why the project is interesting for you**

Recommended length – 100 words

4) **Please prove in an argumentative style that you have enough competence for participation in the project**

Recommended length – 100 words

5) **Please present the plan of your activities that will be performed within the project**

Recommended length – 100 words